


# მეხიკო, 10 იანვარი. „მარია ისაბელის" სასტუმრო. პატარა მეხიკელი გოგონას ხელით ამოღებული კენჭი „თეთრი" აღმოჩნდა ჩვენი გუნდისთვის.

## ვუსურვოთ წარმატება საბჭოთა ფეხბურთელებს!




ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 8 (4002)
13
1970 წ. იანვარი. სამშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

# კენჭისყრა შედგა! კენჭისყრა შედგა! კენჭისყრა შედგა!

ეს ასე: ფეხბურთში 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მონაწილეთა კენჭისყრა შედგა. ოფიციალური ცერემონიალი მოეწყო მეხიკოს სასტუმრო „მარია ისაბელის" ჰოლში. გათამაშების გადამწყვეტი ეტაპის 16 მონაწილე განლაგებულია ჯგუფებად.

მოგვყავს ჯგუფების შემადგენლობანი:

**I ჯგუფი**
სსრ კავშირი
მექსიკა
ბელგია
სალვადორი

**II ჯგუფი**
ურუგვაი
ისრაელი
იტალია
შვეცია

**III ჯგუფი**
რუმინეთი
ინგლისი
ჩეხოსლოვაკია
ბრაზილია

**IV ჯგუფი**
პერუ
ბულგარეთი
მაროკო
გფრ

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური გათამაშების ფორმულა ასეთია: ყოველი ჯგუფის საუკეთესო 2-2 გუნდი გავა მეოთხედფინალში. შემდგომში თამაშები გაგრძელდება ასეთი თანმიმდევრობით: პირველ ჯგუფში გამარჯვებული შეხვდება მეორე ჯგუფში II ადგილზე გასულ გუნდს, ხოლო მეორე ჯგუფში გამარჯვებული — პირველ ჯგუფში II ადგილზე გასულს. ასევე მოხდება III და IV ჯგუფებშიც, ესე იგი, თუ სსრ კავშირის ნაკრები წარმატებას მოიპოვებს თავის ჯგუფში, ნახევარფინალამდე ვერ შეხვდება ინგლისის ან ბრაზილიის გუნდს.

მსოფლიოს IX ჩემპიონატი გაიხსნება მექსიკისა და სსრ კავშირის გუნდების მატჩით, რომლებიც 31 მაისს ითამაშებენ მეხიკოს „აცტეკის" სტადიონზე.

გთავაზობთ ჩემპიონატის კალენდარს:

### I ჯგუფი
(მეხიკო)

31 მაისი. სსრ კავშირი — მექსიკა
3 ივნისი. ბელგია — სალვადორი
6 ივნისი. სსრ კავშირი — ბელგია
7 ივნისი. სალვადორი—მექსიკა
10 ივნისი. სალვადორი — სსრ კავშირი
11 ივნისი. ბელგია — მექსიკა

### II ჯგუფი
(პუებლა, ტოლუკა)

2 ივნისი. ურუგვაი — ისრაელი
3 ივნისი. იტალია — შვეცია
6 ივნისი. ურუგვაი — იტალია
7 ივნისი. შვეცია — ისრაელი
10 ივნისი. შვეცია — ურუგვაი
11 ივნისი. იტალია — ისრაელი

### III ჯგუფი
(გვადალახარა)

2 ივნისი. რუმინეთი — ინგლისი
3 ივნისი. ჩეხოსლოვაკია — ბრაზილია
6 ივნისი. რუმინეთი — ჩეხოსლოვაკია
7 ივნისი. ბრაზილია — ინგლისი
10 ივნისი. ბრაზილია — რუმინეთი.
11 ივნისი. ჩეხოსლოვაკია — ინგლისი.

### IV ჯგუფი
(ლეონი)

2 ივნისი. პერუ — ბულგარეთი
3 ივნისი. მაროკო — გფრ
6 ივნისი. პერუ — მაროკო
7 ივნისი. გფრ — ბულგარეთი
10 ივნისი. გფრ — პერუ
11 ივნისი. მაროკო — ბულგარეთი

მეოთხედფინალური მატჩები იწყება 14 ივნისს. მეხიკოში ითამაშებენ პირველ ჯგუფში გამარჯვებული და მეორე ჯგუფში II ადგილზე გასული გუნდები; პუებლაში — მეორე ჯგუფში გამარჯვებული და პირველ ჯგუფში II ადგილზე გასული გუნდები; გვადალახარაში — მესამე ჯგუფში გამარჯვებული და მეოთხე ჯგუფში II ადგილზე გასული გუნდები; ლეონში — მეოთხე ჯგუფში გამარჯვებული და მესამე ჯგუფში II ადგილზე გასული გუნდები.

17 ივნისს ორივე ნახევარფინალური მატჩი შედგება მეხიკოში. 20 ივნისს გაიმართება მატჩი III ადგილისთვის, ხოლო 21 ივნისს— ფინალი.

მატჩების მსვლელობაში ნებადართულია 2 მოთამაშის შეცვლა. თუ გუნდები ჯგუფში დააგროვებენ ქულათა თანაბარ რაოდენობას, მათ შორის უპირატესობა განისაზღვრება ბურთების უკეთესი სხვაობით.



ჩეხოსლოვაკიისა და უნგრეთის ფეხბურთელებმა მსოფლიო ჩემპიონატის II შესარჩევ ჯგუფში ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს და მათ შორის დამატებითი, მესამე მატჩის ჩატარება შეიქნა საჭირო ნეიტრალურ მინდორზე — მარსელში. ეს თამაში, როგორც ცნობილია, მოიგეს ჩეხოსლოვაკიელმა ფეხბურთელებმა (4:1), რომლებმაც მოიპოვეს ფინალში თამაშის უფლება.

სურათზე აღბეჭდილია მარსელში ჩატარებული მატჩის მომენტი. შეტევაზეა ჩეხოსლოვაკიელთა ფორვარდი ადამეცი. უნგრეთის გუნდის მეკარე სენტმიჰაი ბოლო მომენტში დაეუფლა ბურთს.

## აი, რას ამბობენ გუნდების მწვრთნელები და ფეხბურთის მოღვაწენი:

**გ. კაჩალინი**
(სსრ კავშირი)

„ჩემი აზრით, ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მეტოქე იქნება სიმალლე".

**გ. კანიედო**
(მექსიკა)

„მექსიკა კარგ ჯგუფში მოხვდა".

**რ. კარდენასი**
(მექსიკა)

„ჯგუფი მეც ძალიან მომწონს. ჩვენ ვიცით, როგორ ფეხბურთს თამაშობენ რუსები... არა მგონია, რომ რუსული ფეხბურთი ჩემპიონატისთვის ძალიან შეიცვალოს".

**ჟ. სალდანია**
(ბრაზილია)

„მე ოპტიმისტურად შევყურებ მომავალ მსოფლიო ჩემპიონატს. მიმაჩნია, რომ სულ ერთია ვისთან მოგიწევს თამაში ჯგუფში, ნახევარფინალში და ფინალში. ოქროს ქალღმერთის მოსაპოვებლად უბრალოდ ყველა მეტოქეს უნდა მოუგო".

**დ. ფოლოუზი**
(ინგლისი)

„ჩემი ქვეყნის გუნდი ძალიან კარგ ჯგუფში აღმოჩნდა".

**ა. ფრანკი**
(იტალია)

„კენჭისყრით კმაყოფილი ვართ".

**მ. ბერეო**
(სალვადორი)

„კენჭისყრის შედეგებზე ვერაფერს ვიტყვი. მაგრამ მინდა გაგახსენოთ, რომ 1964 წელს მექსიკელები სწორედ ჩვენმა გუნდმა დაამარცხა".

**ა. ანტიფიტი**
(მაროკო)

„საინტერესო ჯგუფში მოვხვდით. ჩემი აზრით, ყველაზე მეტად სწორედ ამ გუნდების დამარცხების შანსი გვაქვს".

# ინდოეთის ჩემპიონი ცხოვრობს... თბილისში

ვისაკჰაპატნამი (ანდჰრა-პრადეშის შტატი), 12 იანვარი. ინდოეთის ამ ქალაქის მტკიცეგრუნტიან კორტებზე დიდ წარმატებას მიაღწია 23 წლის თბილისელმა ნინო თუხარელმა: ინდოეთის ღია პირველობის ფინალში მან დაამარცხა იუგოსლაველი ჩოგბურთელი ი. სკული (6:4, 6:4) და ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა.

ვაჟთა ერთეულების თანრიგში ყველას აჯობა უნგრელმა ი. გუიაშმა, რომელმაც ფინალში ფარ-ხმალი დააყრევინა აზიისა და სსრ კავშირის ჩემპიონს, თბილისელ ა. მეტრეველს — 3:6, 6:4, 6:4, 6:0. ნახევარფინალებში ამ ჩოგბურთელებმა ძლიერი ინდოელი ოსტატები დაამარცხეს: გუიაშმა — ს. მისრა, მეტრეველმა — პ. ლალა.

ვაჟთა წყვილების ფინალშიც უნგრელები და ქართველები შეხვდნენ ერთმანეთს: ზ. ივანჩიჩმა და გუიაშმა აჯობეს მეტრეველსა და თ. კაკულიას — 7:5, 6:1, 6:3.

# არის ასეთი სოფელი — რუისპირი

სოფელი რუისპირი რაიონის ცენტრს — თელავს 7 კილომეტრითაა დაშორებული. აქ 1040 კომლი ცხოვრობს. მათგან 998 კომლი კოლმეურნეობის წევრია.

კოლმეურნეობა „ყურძენ-თავთავს" 2428 ჰექტარი უკავია: აქედან 1852 ჰექტარი სავარგულებია. აქვთ ვენახები და ხილის ბაღები. მარცვლეული კულტურებიდან გავრცელებულია სიმინდი, ხორბალი, ქერი და სხვ. კოლმეურნეობის მატერიალური შემოსავლის ზრდაში თავიანთი წვლილი შეაქვთ მეცხოველეებსაც, რომლებიც წველადობის გეგმის შესრულების მხრივ რაიონში პირველ ადგილზე არიან.

კოლმეურნეობაში 13 ბრიგადაა, შრომის ანაზღაურება ხდება ნატურით და ფულით. სახნავ-სათესი ფართობი და ვენახები ძირითადად სოფელთან ახლოსაა, ასე რომ, მშრომელებს ღამით მინდორში დარჩენა არ უხდებათ.

სოფელ რუისპირში არის საშუალო სკოლა, კლუბი, ბიბლიოთეკა და საექიმო უბანი.

კოლმეურნეობა საწარმოო გეგმების შესრულების მხრივ რაიონში ერთ-ერთი მოწინავეა.

## რა გვაქვს დღეს?

რუისპირის კოლმეურნეობაში შექმნილია ფიზკულტურის კოლექტივი, რომელშიც 120 წევრია გაერთიანებული. არჩეულია ფიზკულტურის კოლექტივის საბჭო 5 კაცის შემადგენლობით, სასოფლო-სამეურნეო არტელს ჰყავს მეთოდისტი. საბჭოს შედგენილი აქვს სამუშაო გეგმა, რომელიც, ჩვენი აზრით, უფრო აქტუალურ და კონკრეტულ საკითხებს უნდა მოიცავდეს. ჯერჯერობით იგი ერთობ უფერულია.

კოლმეურნეობაში არის ფეხბურთის სათამაშო მინდორი და ღია საჭიდაო მოედანი. სპორტული მუშაობა ძირითადად საშუალო სკოლის სპორტბაზებზე მიმდინარეობს.

ხელმძღვანელობა ერთგვარ დახმარებას უწევს ფიზკულტურის კოლექტივს, რაც სპორტული ფორმისა და ზოგიერთი წვრილმანი ინვენტარის შეძენით განისაზღვრება.

სოფელში არ არის კულტივირებული სპორტის ისეთი სახეობები, როგორიცაა ქართული ჭიდაობა და ძალოსნობა, თუმცა საამისო პირობები აქვთ. როგორც გამოირკვა, ახალგაზრდებს მიაჩნიათ, თითქოს ეს სახეობები იწვევს... ადამიანის დამახინჯებას და ტრავმებს. ეს არ მოხდებოდა, აგიტაცია-პროპაგანდის საკითხი სათანადოდ რომ იყოს მოგვარებული და აღნიშნულ საკითხებზე ლექცია-საუბრები იმართებოდეს. თუმცა უნდა ითქვას, რომ გამოწერილია სპორტული ჟურნალ-გაზეთები, პერიოდულად გამოდის ფიზკულტურული კედლის გაზეთი „სპორტული სოფელი", გამოშვებულია ფოტოგაზეთები, ჩატარებული ღონისძიებების საფუძველზე შედგენილია რეკორდების ცხრილები მძლეოსნობაში, ველოსპორტში (საგზატკეცილო), ტყვიის სროლაში...

ტრადიციულად, ყოველ წელს ტარდება სოფლის სპარტაკიადა სპორტის ექვს სახეობაში: ფრენბურთში, ფეხბურთში, კალათბურთში, მძლეოსნობაში, ჭადრაკსა და შაშში. შეჯიბრების დროს სოფელი დაყოფილია ოთხ უბნად. გამარჯვებული უბანი ჯილდოვდება გარდამავალი თასით.

რუისპირელები წარმატებით მონაწილეობენ რაიონულ შეჯიბრებებში. აქაური მოშავეები და ფეხბურთელები „კოლმეურნის" რაიონული საბჭოს ჩემპიონები არიან.

## რა შეიძლება გვქონდეს მომავალში?

პარტია და მთავრობა დაუცხრომლად ზრუნავენ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისათვის. სკკპ XXIII ყრილობის მასალებში ნათქვამია: „მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაში უფრო ფართოდ დავნერგოთ მასობრივი ფიზიკური კულტურა და სპორტი"... (სკკპ XXIII ყრილობის მასალები, გვ. 323). ჩვენ, სპორტის მუშაკებს, გვევალება, რომ ძირეულად გარდავქმნათ ფიზკულტურული და სპორტული მუშაობა, განსაკუთრებით, სოფლად. პარტიის მიერ დასახული ამოცანის წარმატებით გადაწყვეტისათვის, პირველ ყოვლისა, საჭიროა სოფლად მოვაწყოთ და ავაშენოთ სპორტული ბაზები. კოლმეურნეობის სანიმუშო წესდებაში, რომელიც კოლმეურნეთა III საკავშირო ყრილობამ მიიღო, ნათქვამია: „კოლმეურნეობა ანხორციელებს კოლმეურნეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ღონისძიებებს, ყოველდღიურად ზრუნავს კოლმეურნეობის წევრებისა და მათი ოჯახების ჯანმრთელობის განმტკიცებისა და ფიზიკური აღზრდისთვის. ამ მიზნით კოლმეურნეობა: აშენებს საკოლმეურნეო კლუბებს... სპორტულ ნაგებობებს, ხელს უწყობს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებას".

ჩვენ ვითათბირეთ კოლმეურნეობის გამგეობის (თავმჯდომარე შ. ყალანდრიშვილი) წევრებთან სპორტული ბაზების თაობაზე. გადაწყდა მოკლე დროში კეთილმოვაწყოთ არსებული ფეხბურთის მინდორი, გაკეთდეს მძლეოსნობის სექტორი და მარტივი ტიპის სარბენი ბილიკები. გარდა ამისა, სოფელში უნდა გაშენდეს დეკორაციული პარკი. საამისოდ პროექტი უკვე შედგენილია და მუშაობაც მიმდინარეობს. პარკის ტერიტორიაზე გათვალისწინებულია ფეხბურთის სტადიონისა და ღია საცურაო აუზის აგება, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნების მოწყობა. ამ სამუშაოების დამთავრების შემდეგ, ცხადია, რუისპირი საუკეთესო ბაზებით იქნება აღჭურვილი.

... გლეხი დილიდან საღამომდე საკოლმეურნეო მინდვრებსა და ბაღ-ვენახებშია. შრომა უფრო სახალისო რომ იყოს, ხოლო შრომისნაყოფიერება მაღალი, აუცილებელია მინდვრად მუშაობისას შესვენების დროს ფიზკულტურული ღონისძიებები ტარდებოდეს, მაგალითად, რაიმე გასართობი თამაშები. შესვენება ერთ საათსა და ზოგჯერ მეტსაც გრძელდება. ამ დროს გადავწყვიტეთ მოვაწყოთ შეჯიბრებები ლახტში, მშვილდოსნობაში, ქართულ ჭიდაობაში, ჭოკით სიგრძეზე ხტომაში.

მთელს სპორტულ-მასობრივ და ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ საქმიანობაზე პასუხისმგებელია კოლმეურნეობის ფიზკულტურული კოლექტივის საბჭო, რომელსაც აქტივი ეხმარება. მაგრამ ეს მაინც უკმარია. საჭიროა ბრიგადებში შეიქმნას ფიზკულტურული ჯგუფები. რუისპირის კოლმეურნეობაში 11 მსხვილი ბრიგადაა (13-დან). ჩვენ გადავწყვიტეთ თითოეულ ამ ბრიგადაში შევქმნათ ფიზკულტურული ჯგუფი 3-5 კაცის შემადგენლობით (ეს დამოკიდებულია თვით ბრიგადის წევრთა რაოდენობაზე). ჯგუფის სამუშაო გეგმა ფიზკულტურის კოლექტივის საერთო სამუშაო გეგმიდან უნდა გამომდინარეობდეს, მაგრამ უფრო კონკრეტული უნდა იყოს. იგივე ჯგუფი ჩაატარებს ბრიგადაში სპორტულ ღონისძიებებს, შეადგენს კვარტალურ გეგმას, რომელიც კოლექტივის სპორტმასობრივ ღონისძიებათა კალენდარული გეგმიდან უნდა გამომდინარეობდეს. ეს ჯგუფი ველზე შესვენების დროს ჩაატარებს სხვადასხვა შეჯიბრებას (ჭიდაობა, მშვილდოსნობა, გასართობი თამაშები და სხვ.).

ცნობილია, რომ კარგად ჩატარებული შეჯიბრება სპორტის პროპაგანდის ყველაზე ქმედითი საშუალებაა. ჩვენ გადავწყვიტეთ ტრადიციად ვაქციოთ ფიზკულტურული დღესასწაულები — გავმართოთ ისინი საგაზაფხულო სამუშაოების დაწყების წინ, მოსავლის აღების დამთავრებისას, ფიზკულტურელის საკავშირო დღეს. ეს ღონისძიებები შეტანილი იქნება ადგილკომის სამუშაო გეგმაშიც.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ სასწავლო-სპორტული მუშაობა ფიზკულტურის კოლექტივის მთელი საქმიანობის საფუძველია. რეგულარული წვრთნის შედეგად მტკიცდება ადამიანის ჯანმრთელობა, იგი ეხმარება მას ძალის, სისწრაფის, მოქნილობის, გამძლეობის, შეუპოვრობის, მტკიცე ნებისყოფისა და სხვა ძვირფასი თვისებების განვითარებაში. მ. კალინინი ამბობდა: „ჩვენ გვინდა ყოველმხრივ განვავითაროთ ადამიანი, რომ მას შეეძლოს კარგი სირბილი, ცურვა, სწრაფი და მოხდენილი სიარული, რომ მას ყველა ორგანო წესიერად ჰქონდეს, ერთი სიტყვით, რომ ის იყოს ნორმალური, ჯანსაღი ადამიანი, რომელიც მზად იქნება შრომისა და თავდაცვისთვის, რომ ყველა ფიზიკური ღირსების პარალელურად წესიერად ვითარდებოდეს მისი გონივრული ღირსებებიც" (მ. ი. კალინინი. „კომუნისტური აღზრდის შესახებ". 1953 წ. გვ. 21-22).

ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრისთვის საჭიროა ფართოდ გავშალოთ სექციური მუშაობა. რუისპირის კოლმეურნეობაში წლეულს იმუშავებენ ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, ხელბურთის, მძლეოსნობის, ჭადრაკისა და შაშის სექციები. მძლეოსნობის კლასიკურ სახეობებთან ერთად, განზრახული გვაქვს დავნერგოთ ჭოკით სიგრძეზე ხტომა და ამ სახეობაში შეჯიბრებების ჩატარებაც შევძლოთ. შეიქმნება ქართული ჭიდაობისა და მშვილდოსნობის სექციებიც.

შეჯიბრება სპორტული ოსტატობის დახვეწისა და ზრდის საუკეთესო საშუალებაა. ამიტომ სოფლის ფიზკულტურის კოლექტივმა რაც შეიძლება მეტი ტურნირი უნდა გამართოს. ჩვენ აქ დაწვრილებით არ მოვიყვანთ სპორტმასობრივ ღონისძიებათა კალენდარულ გეგმას და დავასახელებთ მხოლოდ ზოგიერთ შეჯიბრებას, რაც რუისპირის კოლმეურნეობაში წლეულსაა დაგეგმილი. პირველ ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ ზემოხსენებული ფიზკულტურული დღესასწაულები. უბნების ტრადიციულ სპარტაკიადასთან ერთად ჩატარდება ბრიგადების ნაკრები გუნდების სპარტაკიადაც. პროგრამაში შეტანილი იქნება ფრენბურთი, ქართული ჭიდაობა, მძლეოსნობა (გაიმართება ტურნირი ჭოკით სიგრძეზე ხტომაშიც), მშვილდოსნობა, ჭადრაკი და შაში. სპარტაკიადას წინ უსწრებს შეჯიბრებები თვით ბრიგადებში. ცალკე ჩატარდება ასპარეზობა მძლეოსნობაში საუკეთესო მორბენლის, ჭოკით სიგრძეზე მხტომელის, მტყორცნელის სახელისთვის, შეჯიბრებები მშვილდოსნობაში, ქართულ ჭიდაობაში, სიმძიმეების აწევაში, გაიმართება საგაზაფხულო და საშემოდგომო კროსები.

გარდა ამისა, კოლმეურნეობის ნაკრები გუნდები ამხანაგურ მატჩებში შეხვდებიან სხვა სასოფლო-სამეურნეო არტელების წარმომადგენლებს, მონაწილეობას მიიღებენ რაიონის ფიზკულტურის კომიტეტისა და „კოლმეურნის" რაიონული საბჭოს ღონისძიებებში.

ჩვენი აზრით, ასეთი სახით წარმართული მუშაობა ხელს შეუწყობს სოფლად ფიზკულტურული მუშაობის გაუმჯობესებას და აამაღლებს სპორტსმენთა ოსტატობის დონეს.

**თ. ჩოთალიშვილი,**
თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის უფროსი მასწავლებელი.

## რაიონული ქრონიკა

### ✦ კასპი

11 გუნდმა და 107 ნორჩმა სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა შეჯიბრებაში, რომელსაც უნდა გამოევლინა რაიონის პირად-გუნდური ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში. საინტერესო ბრძოლის შემდეგ უძლიერესი კოლექტივის სახელი მოიხვეჭა იგოეთის საბჭოთა მეურნეობის ნაკრებმა. II ადგილი დაიკავეს ლამისყანელებმა. III — ყარალაჯელებმა. პირად ჩათვლაში ჩემპიონები გახდნენ: ნ. ხორბალაძე, დ. გამდლიშვილი, ქ. ბარდაძე, ნ. შამანაური, ა. და ნ. ხუციშვილები, ზ. ბახტაძე, ო. ყურაშვილი.

**ლ. ელისაბედაშვილი.**

## რაიონული ქრონიკა

### ✦ ცხინვალი

ქართულ ჭიდაობაში რაიონის ჩემპიონის სახელს ერთმანეთს 44 ათლეტი ეცილებოდა. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: მ. სიუკაევმა, ე. ქისიევმა (ორივე — ქსუისი), ვ. ბეინიშვილმა (თამარაშენის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი), ა. ხუბულოვმა (გრომი), დ. კეკოშვილმა (თამარაშენის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი), [illegible] (ერედვი), გ. მავარდენიძემ (ქსუისი), გ. ქუმიევმა (გრომი).

* * *

ავნევის ქართულ საშუალო სკოლაში კალათბურთელთა და მოშავეთა შეჯიბრებები ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა. კალათბურთელთა შორის გაიმარჯვეს X კლასის მოსწავლეებმა. შაშში I-II ადგილები გაიყვეს ქ. კვინიკაძემ და ლ. ჭავჭავაძემ.

**ვ. მელქოევი.**

# სპორტმა მოიცადოს?

სოხუმის № 6 სამშენებლო ტრესტის მუშაკებმა გადაწყვიტეს... 4-მილიონიანი „ძეგლი" დაედგათ. აი, რას წერდა ამის შესახებ 1961 წლის 8 იანვარს „ფუტბოლი": „სოხუმი იმთავითვე საფეხბურთო ქალაქად ითვლება. „დინამო" სხვადასხვა წელს საქართველოს ჩემპიონი იყო და რესპუბლიკის თასსაც ფლობდა. სოხუმში გაიზარდნენ და თამაშობდნენ სახელგანთქმული ფეხბურთელები ავთანდილ ღოღობერიძე, ნიკიტა სიმონიანი, ვლადიმერ მარღანია... და აი, 1960 წლის ოქტომბერში სოხუმის კომკავშირის საქალაქო კომიტეტმა ახალგაზრდებს მოუწოდა აეგოთ სტადიონი დამკვრელური კომკავშირული მშენებლობის წესით. ასობით ბარი და წერაქვი ახმაურდა ყოფილი იპოდრომის მიწაზე, სადაც ადრე აფხაზი ცხენოსნების შეჯიბრებები ტარდებოდა. ჩინებულად იმუშავეს სტუდენტებმა. სამუშაო ახლაც ბევრია, მაგრამ ახალგაზრდებს ეს არ აშინებთ..."

სამაგიეროდ, მე შემაშინა ამ წერილმა, ისეთი ოპტიმიზმით იყო გამსჭვალული. სოხუმის სპორტსმენებს (დავუმატებ, რომ ამ ქალაქში აღიზარდა ოლიმპიური ჩემპიონი ვ. სანეევი) დღესაც არა აქვთ არც ახალი სტადიონი, არც ახალი სპორტდარბაზები და მოედნები.

— რატომ არა გაქვთ ბაზები? — ვკითხეთ აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ი. ჩანბას, — მშენებლობა ხომ აგერ უკვე ცხრა წელიწადია გრძელდება?

პასუხი არც ისე დამაკმაყოფილებელი გამოდგა: სადღეისოდ 4 მილიონიდან ათვისებულია... 273 ათასი მანეთი (?!). მაისისთვის მხოლოდ 132 ათასი მანეთის დახარჯვაა გათვალისწინებული. სხვათა შორის, მშენებლებს ვერ დავემდურებით. სწორედ ამ ობიექტზე ისინი ყველა სამუშაოს ვადამდე ასრულებენ.

ჩვენი რედაქცია თხოვნით მიმართავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს: „დაეხმარეთ სპორტული ქალაქის — სოხუმის მოსახლეობას, დროა აფხაზეთის დედაქალაქს თავისი სტადიონი ჰქონდეს".

...მაგრამ სოხუმს არც ისეთი საცურაო აუზი აქვს, სადაც გათბობა იქნება. ბავშვები იტანჯებიან (ზამთრობით ისინი სოჭში დადიან საწვრთნელად), მშობლები ღელავენ. ამ საკითხს ბევრი წერილი მიეძღვნა, და ბევრი თათბირიც ჩატარდა. ბოლოს და ბოლოს, წლეულს საქართველოს დოსააფის კომიტეტმა გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგა — 40 ათასი მანეთი გამოყო აუზის გათბობის მოსაწყობად. № 6 ტრესტის მშენებლებმა ამჯერად ჩრდილში ყოფნა ამჯობინეს. მუშაობა ჯერ არ დაუწყიათ.

— არც დავიწყებთ 1970 წელს, — თქვა ტრესტის მთავარმა ინჟინერმა ე. ბადალოვმა. — სხვა ობიექტები გვაქვს. აუზი ჩვენს გეგმაში საერთოდ არ არის შეტანილი.

თავისი ქალაქის დიდი ვერაფერი პატრიოტი ჩანს ინჟინერი ბადალოვი. არც ბავშვები ჰყვარებია მაინცდამაინც, არც სპორტის დიდი გულშემატკივარი უნდა იყოს. იქნებ პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მუშაკებმა გაუწიონ დახმარება და სწორ გზაზე დააყენონ?..

ბადალოვს არაფერში ჩამორჩება № 2 სამშენებლო სამმართველოს მმართველი კ. ლაზარიდი. ადრე იგი სამუშაოთა მწარმოებლად მუშაობდა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ახალი კომპლექსის მშენებლობაზე და კარგადაც ართმევდა საქმეს თავს. მაგრამ შემდეგ დააწინაურეს და გაიყინა საქმე ერთ წერტილზე — გაჭიანურდა სპორტდარბაზისა და სტადიონის მშენებლობა. დღეისთვის 160 ათასიდან ათვისებულია... 44,8 ათასი მანეთი (?!). ცუდ ამინდში ინსტიტუტში ფიზკულტურული მეცადინეობა არ ტარდება, თუმცა ამ სასწავლებელში 1050 სტუდენტი სწავლობს. ისინი უკვე მეშვიდე წელია ელიან სპორტული მშენებლობის დამთავრებას. როცა მშენებლობა საკუთარი თვალით ვიხილე, ვერ დავიჯერე ბადალოვის ოპტიმისტური მტკიცება, რომ ბაზა წლეულს იქნებოდა მზად.

მშენებლები გულხელდაკრეფილი სხედან საკოლმეურნეობათაშორისო მშენებლობის ტრესტშიც (უფროსი ა. ნაკაშიძე). აი, რას წერს ამის შესახებ „სოვეტსკაია აბხაზია": „1959 წელს გუდაუთის რაიონის სოფელ დურიფშის კოლმეურნეებმა საკუთარი ძალებით დაიწყეს სტადიონის მშენებლობა. 1961 წელს მშენებლობა საკოლმეურნეობათაშორისო მშენებლობის ტრესტის მუშაკებს გადასცეს. კოლმეურნეობა ყოველმხრივ დახმარებას უწევდა და უწევს მშენებლებს, მაგრამ საქმე წინ არ წასულა..."

აქვე უნდა შევნიშნოთ: აფხაზეთის 260 საშუალო და რვაწლიანი სკოლიდან სპორტდარბაზი მხოლოდ 44 სკოლას აქვს. საკუთარი შენობები არა აქვთ ოჩამჩირის, გულრიფშის, გაგრის საბავშვო სპორტსკოლებს. ზოგჯერ სოხუმის ახალგაზრდა სპორტსმენებსაც უწევთ „მომთაბარე" ცხოვრება. რა იქნება, ერთ საკითხს რომ დავუფიქრდეთ: სოხუმში არის ხორბლის საწყობი, რომელიც სიგრძით თითქმის 100 მეტრია და სიგანეც საკმარისი აქვს. იქნებ შეიძლება ეს შენობა მოსწავლეებს გადასცენ, გაარემონტონ, გათბობა მოაწყონ?

ბავშვები დიდად მადლობელი დარჩებიან.

**ვ. ბუკინი.**
**(ჩვენი სპეც. კორ.).**

სოხუმი.

* * *

**ს უ რ ა თ ზ ე:** ახე გამოიყურება დღეს საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სპორტდარბაზის მშენებლობა.

ფოტო ავტორისა.



ეროვნული ბიბლიოთეკა





# კობა წაქაძის სარეკორდო ნახტომი

17-18 იანვარს ბაკურიანში გათამაშდება სსრ კავშირის თასი ტრამპლინიდან ხტომაში. ასპარეზობა ახალ, 90-მეტრიან ტრამპლინზე გაიმართება. ფაქტიურად ამ შეჯიბრებამ უნდა გასცეს მსოფლიო პირველობის საგზურები და, ბუნებრივია, ტურნირის მონაწილენი სწორედ ახალ ტრამპლინზე ინტენსიურ ვარჯიშს მოითხოვდნენ, მაგრამ ბუნების ჭირვეულობა საქმეს აფერხებდა. მასპინძლები თავს არზოგავდნენ, რათა სპორტსმენებისთვის სათანადო პირობები შეექმნათ — ტომრებითა და მარხილებით ეზიდებოდნენ თოვლს. პირველმა საწვრთნელმა შეჯიბრებამაც ორი დღით ამიტომ დაიგვიანა.

და შაბათს, როცა თითქმის ყველაფერი მზად იყო, ხვავრიელი თოვა დაიწყო. კვირასაც თოვდა. ტრამპლინის მომწყობლებს ახალი საზრუნავი გაუჩნდათ — ნაგებობა ახლა ზედმეტი თოვლისგან უნდა გაეწმინდათ.

გუშინ რედაქცია ტელეფონით დაუკავშირდა საქართველოს ფიზკულტურის კომიტეტის მთავარ მწვრთნელს სათხილამურო სპორტში, საკავშირო კატეგორიის მსაჯს შ. ნავერიანს და ჰკითხა როგორაა საქმე.

— დიდძალი სამუშაო უნდა შესრულებულიყო, დღეს ტრამპლინიდან ხტომაში შეჯიბრება რომ ჩაგვეტარებინა. საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები, ბაკურიანელი ახალგაზრდები, სპორტსმენები, ბაზების თანამშრომლები საქმეს როდი შეუშინდნენ. დილიდანვე საუცხოო ამინდი იდგა. როცა საქმე სანახევროდ გაკეთდა, სპორტსმენები შეჯიბრებისთვის სამზადისს შეუდგნენ.

ახალ ტრამპლინზე პირველმა შეჯიბრებამ დაბის თითქმის მთელი მოსახლეობა შიიზიდა. განსაკუთრებით აინტერესებდათ ჩვენი ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონისა და პრიზიორის, ბევრ საერთაშორისო ბრძოლაში გამარჯვებული კობა წაქაძის გამოსვლა. არც შემცდარან: მათმა ფავორიტმა იმარჯვა.

— როგორ წარიმართა ბრძოლა?

— ასეთ ტრამპლინზე რისკი ზოგჯერ მარცხით მთავრდება. ამიტომ შეჯიბრების ყველა მონაწილე (ისინი კი მრავლად არიან ჩამოსული ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან) პირველ ცდაზე სრული ძალით როდი ასრულებდა არეკნს. ამიტომ შედეგები ტრამპლინის საპროექტო სიმძლავრესაც კი საგრძნობლად ჩამორჩებოდა. მაგალითად, კობა 78 მეტრზე გადახტა. ასეთივე შედეგი ჰქონდა ბ. მჭედლიანს.

— როგორ ჩააბარა პირველი გამოცდა ტრამპლინმა?

— ბრწყინვალედ. როცა პირველი ცდა დამთავრდა, სპორტსმენები აღფრთოვანებული იყვნენ ნაგებობით, ძალიან აქებდნენ მას და მეორე ცდის შესასრულებლად მიემართებოდნენ... კიბით.

— რა შედეგებით დამთავრდა ტურნირი?

— მეორე ცდაზე წაქაძე 101 მეტრზე გადახტა და ტრამპლინის პირველი რეკორდსმენი გახდა. ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო: კობამ ბოლო ცდაზე 104 მ იფრინა და გამარჯვებაც მას დარჩა.

— სხვა ვინ ცდიდა ძალას საქართველოს სპორტსმენებიდან?

— ა. გავა, ჯ. თვაური, უ. ლალიევი. რაც შეეხება მ. გავას, იგი ჯერ კიდევ არ გამოჯანმრთელებულა.

* * *

თბილისის „დინამოს“ ოსტატმა ფეხბურთელებმა, რომლებიც ბაკურიანში არიან სავარჯიშოდ, კ. წაქაძეს ავტოგრაფებიანი ბურთი უსახსოვრეს.

* * *

სურათებზე: მარცხნივ — კ. წაქაძე ხტომის დროს; მარჯვნივ — დინამოელთა კაპიტანი ს. მეტრეველი ბურთს კობას გადასცემს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

(ჩვენი სპეც. კორ.).

# გ. ბუკია — საუკეთესო სპორტსმენი

გაზეთ „ახალი კოლხეთის“ რედაქციამ პირველად მოაწყო საახალწლო კონკურსი — „ფოთის საუკეთესო სპორტსმენი 1969 წელს“. ანკეტაში მონაწილეობა მიიღეს ფიზიკური კულტურის მუშაკებმა და ვეტერანმა სპორტსმენებმა.

ყველაზე მეტი ხმა მიიღო სსრ კავშირის ჩემპიონმა და რეკორდსმენმა სახანძრო-გამოყენებით სპორტში, დინამოელმა გ. ბუკიამ.

გ. ბასილაია.

(ჩვენი კორ.).

ფოთი.

# „ფოლადის“ მოჭიდავეთა უპირატესობით

მეტალურგთა ქალაქის ჭაბუკმა მოჭიდავეებმა „განთიადის“ საქალაქო პირველობა გაითამაშეს თავისუფალ და კლასიკურ სტილში.

თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა შერკინებაში (9 წონითი კატეგორია) 51 სპორტსმენი მონაწილეობდა. უძლიერესის სახელი მოიპოვეს: ა. ჩანადირმა, კ. კობახიძემ, გ. ტოტელიშვილმა (ყველა — სპორტკლუბი „ფოლადი“), გ. ლობჟანიძემ (ქიმკომბინატი), ე. ყიფიანმა, გ. წიკლაურმა, ი. წოწოლაშვილმა (ყველა — „ფოლადი“), ი. კონოტოპმა, ა. შავშერდიანმა (ორივე — ქიმკომბინატი).

სპორტკლუბ „ფოლადის“ წარმომადგენლებს კლასიკურ ჭიდაობაში საერთოდ არ ჰყავდათ ტოლი: მათ ყველა I ადგილი დაისაკუთრეს. ჩემპიონები გახდნენ: ტ. ხაბლიევი, კ. კობახიძე, ნ. მუმლაძე, ო. ჩახუნაშვილი, ზ. ქაძანაია, გ. ყიფიანი, ი. წოწოლაშვილი, ო. ცუხიშვილი.

რ. გაბრიჟიძე.

(ჩვენი კორ.).

რუსთავი.

# ოლიმპიური ლარები

ლ. მაკაროვი — სსრ კავშირის მშვილდოსანთა ნაკრები გუნდის მწვრთნელი. კაცი, რომელსაც ეს თანამდებობა უჭირავს, არ შეიძლება გულგრილი ადმინისტრატორი იყოს. იგი უნდა იყოს თავისი საყვარელი სახეობის ენთუზიასტი და მაკაროვიც სწორედ ასეთი კაცია, თუმცა ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტის პასუხებზე მშვიდად იძლევა პასუხს.

**● რა არის დღეს მთავარი მშვილდოსნობის საკავშირო ფედერაციის მუშაობაში?**

— პირველ ყოვლისა, თქვენს შეკითხვაში პატარა შესწორება უნდა შევიტანოთ. საბჭოთა კავშირში ჯერ დამოუკიდებელი ფედერაცია არ არის, გვაქვს მხოლოდ სსრ კავშირის სასროლო ფედერაციასთან არსებული მშვილდოსნობის კომიტეტი. თანდათანობით ალბათ მშვილდოსნები გამოეყოფიან ამ ფედერაციას. თუმცა, ჩვენი კომიტეტი უკვე აღიარებულია სასროლო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის (ფიტა) მიერ და 1967 წლიდან საბჭოთა მშვილდოსნები ამ ფედერაციის წევრები არიან.

ჩვენი მუშაობის მთავარი მიმართულებაა მიუნჰენის 1972 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადება. საბჭოთა სპეციალისტები კმაყოფილი არიან, რომ მშვილდოსნობა კვლავ დაუბრუნდა ოლიმპიურ პროგრამას. ეს მძლავრი სტიმულია ჩვენს ქვეყანაში სპორტის ამ სახეობის შემდგომი განვითარებისთვის.

**● ზოგიერთი მშვილდოსნობას საბჭოთა კავშირში „ახალგაზრდა სახეობად“ მიიჩნევს, ზოგი — პირიქით. რომელი შეხედულება უფრო სწორია?**

— თავისებურად სწორია ერთი აზრიცა და მეორეც. მშვილდოსანთა დღევანდელმა ახალგაზრდა თაობამ იცის, რომ პირველი საკავშირო ჩემპიონატი ამ სახეობაში სულ 5 წლის წინ ჩატარდა. მაგრამ ეს საბჭოთა კავშირში სპორტული მშვილდოსნობის დაბადება კი არა, აღორძინება იყო. ვეტერანებს ახსოვთ, რომ მშვილდოსნობის საერთაშორისო ფედერაცია 1931 წელს უკრაინის ქალაქ ლვოვში შეიქმნა. ამავე ქალაქში ჩატარდა პირველი მსოფლიო ჩემპიონატი.

**● მაშ ასე, ვილაპარაკოთ მეორედ დაბადებაზე. რა წარმატებებს მიაღწიეს საბჭოთა მშვილდოსნებმა ბოლო წლებში?**

— ათი წლის წინ ჩვენ თითქმის არაფერი გვქონდა ხელთ. დღეს საბჭოთა კავშირში 6 ათასამდე კვალიფიციური მშვილდოსანია. ამ სახეობის აღორძინების თაოსნები იყვნენ, პირველ ყოვლისა, უკრაინა, რუსეთის ფედერაცია, ბალტიისპირეთის რესპუბლიკები. ახლა მშვილდოსნობის ფედერაცია ყველა მოკავშირე რესპუბლიკაშია შექმნილი. კარგად მიდის საქმე საქართველოში, სომხეთში, ყაზახეთში, სადაც სპეციალისტები მშვილდოსანთა სკოლებს ქმნიან. მაგალითად, ყაზახეთის დედაქალაქში გადავიდნენ სსრ კავშირის ნაკრების წევრი, ლვოველი კ. ბეზვერშუკი და მისი ქმარი, ასევე გამოცდილი მშვილდოსანი. მათ ჩამოაყალიბეს მშვილდოსანთა სპორტული დაოსტატების სპეციალური უმაღლესი სკოლა, სადაც კარგ ცვლას უმზადებენ წამყვან სპორტსმენებს.

ალბათ პარადოქსად მოგეჩვენებათ, მაგრამ ამჟამად მშვილდოსნობა უფრო ნაკლებადაა განვითარებული თურქმენეთში, ტაჯიკეთში, ყირგიზეთში — რესპუბლიკებში, სადაც სპორტის ეს ძველი ეროვნული სახეობა დღემდეა შემონახული. რატომ მოხდა ასე? საქმე ისაა, რომ თანამედროვე მშვილდოსნობისთვის პლასტიკური მინის მშვილდებს, სინთეტიკურ ლარებს (კაპრონი, დაკრონი), ლითონის ისრებს იყენებენ. ჩვენ ინვენტარი არ გვყოფნის და დასახელებულ რესპუბლიკებამდე ეს იარაღი მეტისმეტად გვიან მიდის.

მაგრამ ჩვენ იმედით ვუყურებთ მომავალს, მშვილდოსნობა სპორტის ოლიმპიური სახეობაა და სსრ კავშირის ხალხთა 1971 წლის სპარტაკიადის პროგრამაშიც შეიტანეს. ამიტომ ყოველი რესპუბლიკა ეცდება აუცილებელი იარაღით მოამარაგოს ვაჟთა და ქალთა გუნდები.

**● საერთაშორისო ხარბიელზე როგორ გვაქვს საქმე?**

— 1969 წელს საბჭოთა ქალთა გუნდმა ნ. კოზინას, ე. გაბჩენკოსა და ტ. ობრაზცოვას შემადგენლობით ამერიკის შეერთებულ შტატებში გამართულ მსოფლიო პირველობაში გუნდური ჩემპიონობა მოიპოვა და ქულათა ჯამით ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. კოზინა მსოფლიო ჩემპიონი გახდა 70 მეტრზე შეჯიბრებაში, ამასთან, ახალი რეკორდი დაამყარა. ოთხი დისტანციის (70, 60, 50, 30 მ) შედეგების ჯამის მიხედვით მან III ადგილი დაიკავა. გაბჩენკომ ვერცხლის მედალი მოიპოვა 50 მეტრზე სროლაში.

უფრო სუსტად გამოვიდა სსრ კავშირის ვაჟთა გუნდი. ჩვენ დასაწყისისთვის ცუდ შედეგად არ მიგვაჩნია, რომ მსოფლიო ჩემპიონატში პირველად მოასპარეზე საბჭოთა მშვილდოსნებმა 25 გუნდს შორის X ადგილი დაიკავეს. სხვათა შორის, პირად ჩათვლაში ლვოვის დინამოელი ვ. სიდორუკი VI ადგილზე გავიდა.

**● სპორტის ნებისმიერი სახეობის განვითარებისთვის რეზერვები და მასობრიობაა საჭირო. როგორ არის მეორე ეშელონის საქმე მშვილდოსნობაში?**

— დავიწყოთ იმით, რომ მშვილდოსნობა ბავშვთა სახეობაცაა. მისი შეყვარება ძალიან ადვილია, ხოლო შეჯიბრებებში წარმატებით მონაწილეობა ღრმა მოხუცებსაც შეუძლიათ. როცა უკანასკნელად მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის ტიტული, ლვოველი ვ. კოპაჩინსკა 60 წლისა გახლდათ, ხოლო ყველაზე ახალგაზრდა საბჭოთა ჩემპიონი ქალი, კიეველი ვ. ლისოვსკაია 18 წლისაც არ იყო, როცა გამარჯვება მოიხვეჭა.

რომელი პატარა ბიჭი არ არის გატაცებული თვითნაკეთი მშვილდ-ისრით? ახლა დიდები? დიდებსაც ძალიან მოსწონთ ეს სპორტი — რომანტიკული, მიმზიდველი, აზარტული. მოსწონთ, რომ შეჯიბრება სტადიონზე კი არა, სადმე სხვაგან, სუფთა ჰაერზე ტარდება, მოსწონთ, რომ ეს ეფექტური სანახაობაა და დიდძალ მაყურებელს იზიდავს, რომ ეს ათლეტური სახეობა ანვითარებს ძალას და ამტანობას, სიზუსტეს და თავშეკავებას, მოქნილობას და დაკვირვებას. ასე რომ, ჩვენს სპორტს უდიდესი რეზერვი ეყოლება, ოღონდ მის განვითარებას იარაღის ნაკლებობა აფერხებს. გვჭირდება სპორტული მშვილდები და ისრები მოზრდილებისთვის, გვჭირდება გამარტივებული მშვილდები ბავშვებისთვის, რათა მათთვის შეჯიბრებები ზაფხულობითაც მოეწყოს, განსაკუთრებით, პიონერთა ბანაკებში. მშვილდებს მხოლოდ სამი საწარმო უშვებს — ორი ლვოვში, ერთი ესტონეთის ქალაქ პიარნუში, საკუთარი ისრები კი ჯერ საერთოდ არა გვაქვს.

**● იმედი ვიქონიოთ, რომ სპორტულ ნაკეთობათა წარმოების მთავარი სამმართველო უახლოეს წლებში გადაჭრის ამ პრობლემას, რომელიც სპორტის ოლიმპიური სახეობის განვითარებას აფერხებს. ახლა კი დავუბრუნდეთ ეროვნულ ნაკრებს. ვინ შედის გუნდის შემადგენლობაში? რა საინტერესო შეჯიბრებები ჩატარდება წლეულს?**

— საკავშირო კალენდარში უაღრესად საინტერესოა უძლიერეს მშვილდოსანთა საგაზაფხულო ტურნირი აპრილში (კიშინიოვი), ჭაბუკთა და იუნიორთა საკავშირო პირველობები (მინსკი), სსრ კავშირის ჩემპიონატი ივნისში (რიგა).

წინაა რამდენიმე საინტერესო საერთაშორისო შეხვედრა. ერთ-ერთი მათგანია ტრადიციული ტურნირი მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე. ამ შეჯიბრებაში უკვე მონაწილეობდნენ დანიის, ფინეთის, საფრანგეთის, ბელგიის, პოლონეთის, სსრ კავშირის წარმომადგენლები. მომავალ ტურნირში საასპარეზოდ მოწვეული არიან როგორც ზემოჩამოთვლილი, ისე სხვა ქვეყნების სპორტსმენები, მათ შორის, დიდი ბრიტანეთის ძლიერი მშვილდოსნები.

ჰელსინკში ჩატარდება ფინეთ — სსრ კავშირის საერთაშორისო შეხვედრა. საბჭოთა მშვილდოსნებს სტუმრად იწვევენ პოლონელი მეგობრები. სეზონის გვირგვინი იქნება ევროპის ჩემპიონატი, რომელიც აგვისტოში ჩატარდება ჩეხოსლოვაკიაში.

იქ გათამაშდება მედლების დიდი კომპლექტი. ჯილდოები დაწესებულია პირველ ყოვლისა გუნდური პირველობისთვის (გუნდებში შედის 4-4 ვაჟი და ქალი, ჩათვლა ეძლევათ სამი საუკეთესო შედეგის მიხედვით), შემდეგ ცალკეულ დისტანციებზე შეჯიბრებისთვის (ვაჟები — 90, 70, 50 და 30 მ, ქალები — 70, 60, 50 და 30 მ). გამოვლინდებიან, აგრეთვე, აბსოლუტური ჩემპიონები მრავალჭიდში, ოთხი ვარჯიშის ჯამში.

ვინ შეიძლება დღეს შევიყვანოთ ნაკრებში? დავასახელებ უძლიერეს კანდიდატებს. ქალებიდან ესენი არიან 30 წლის პედაგოგი, ლვოვის სპარტაკელი ნ. კოზინა, მოსკოველი ინჟინერი ე. გაბჩენკო, ლენინის სახელობის ქარხნის მუშა, 23 წლის ტ. ობრაზცოვა (ლვოვი, „ავანგარდი“), უმცროსი მეცნიერ-მუშაკი, მოსკოველი გ. რიბინა. ესტონეთში 24-25 წლის ნიჭიერ სპორტსმენ ქალთა ჯგუფი მოამზადეს ტალინის „დინამოს“ მწვრთნელებმა, მათგან საუკეთესონი არიან ვ. ხოლსტმეიერი, ა. ვერმიკი, ი. ხაიდაკი. უძლიერესთა შორის უნდა დავასახელოთ ლ. გრიშჩენკო („ავანგარდი“, კიევი), ო. ბუდარინა („დინამო“, ერევანი), კ. ბეზვერშუკი („დინამო“, ალმა-ათა), ვ. ლისოვსკაია („ავანგარდი“, კიევი).

ვაჟებიდან ნაკრებში დინამოელი და არმიელი სპორტსმენები ჭარბობენ. ესენი არიან ლვოველი სპორტსმენები ვ. სიდორუკი, ლ. სტრელბიცკი, მ. პიუნოვი, ი. ფაინშტეინი (ოდესა), ვ. შუვალოვი (მოსკოვი), აგრეთვე, ვ. რეზნიკოვი (ოდესა), ვ. მარკოვიჩი (ლვოვი), ს. კრასნოვი (ხარკოვი), ვ. პიკსონი (ტალინი) და სხვ.

მ. ზასლავსკი.

## ემზადებიან მსოფლიო ჩემპიონატებისთვის

# ფავორიტები ერთმანეთს ქკვირდებიან

თხილამურებით მორბენალი ქალების წლევანდელ პირველ დიდ საერთაშორისო ტურნირს კლინგენტალი (გდრ) მასპინძლობს. აქ საასპარეზოდ თავი მოიყარა ყველამ, ვინც მომავალი მსოფლიო პირველობის მთავარ ფავორიტებად მიაჩნიათ. ესენი არიან: გდრ-ის, სსრ კავშირის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, ფინეთის, ნორვეგიის, შვეციისა და პოლონეთის გუნდები, რომელთა შემადგენლობაში უკვე გამოცდილ, მრავალ ბრძოლაში ნაწრთობ სპორტსმენებთან ერთად ნიჭიერი ახალგაზრდებიც გამოდიან.

ტურნირი 10 კმ-ზე რბენით გაიხსნა. იმ დღეს ყინვას ძლიერი ქარიც დაერთო. მაგრამ ამას ბრძოლის სიმძაფრე არ შეუნელებია. გრენობლის ოლიმპიადის მონაწილე მ. კაიოსმაას, რომელმაც ლექტიმიაკში, ფინელ მოთხილამურეთა ბოლო შესარჩევ შეჯიბრებაში 5 კმ-ზე რბენა მოიგო, ბედმა ახლაც გაუღიმა. სტარტიდან იგი ერთ-ერთი ბოლო გავიდა, რაც საშუალებას აძლევდა ლიდერთა მაჩვენებლებისთვის ედევნებინა თვალყური და მათი შედეგების გათვალისწინებით ერბინა.

ვიდრე კაიოსმაა დისტანციას დაამთავრებდა, საუკეთესო მაჩვენებლები ჰქონდათ სსრ კავშირის გუნდის წევრებს ა. ოლიუნინას (41.29,0), ა. შებალინას (41.40,0), გ. პილიუშენკოს (41.51,0). მომდევნო ადგილებზე იყვნენ ი. ვლადიმიროვა, ნ. ფიოდოროვა და ლ. დორონინა. მაგრამ, როცა ფინიშთან ფინელ მოთხილამურეთა ლიდერიც მივიდა და მსაჯებმა ყველა შედეგი დაიანგარიშეს, გამოირკვა, რომ კაიოსმაას დისტანცია 40 წუთსა და 22 წამში გაერბინა. ამ შედეგმა მას გამარჯვება მოუპოვა. გრენობლის ოლიმპიადის ჩემპიონები 3×5 კმ-ზე ესტაფეტაში, ნორვეგიელები ი. აუფლესი და ბ. მიორდრე XIV და XVII ადგილებს დასჯერდნენ.

მეორე დღე 5 კმ-ზე რბენას დაეთმო. სსრ კავშირის მოთხილამურეებმა პირველი ხუთი ადგილი ერთმანეთში გაინაწილეს და მხოლოდ VI ადგილი დაუთმეს კ. შაიდელს (გდრ)—20.47,0. გაიმარჯვა პილიუშენკომ (20.14,0.).

კაიოსმაა ამ დღეს სტარტზე არ გამოსულა, ნორვეგიის გუნდის ლიდერებმა კი ისევ სუსტად იასპარეზეს.

# მსოფლიო ჩემპიონი ცუდად ისროდა

ლატვიელმა ბიატლონისტმა ი. გულბისმა წლევანდელი სეზონი შესანიშნავად დაიწყო. ბუნებრივია, ის და მისი გულშემატკივრები სსრ კავშირის თასის გათამაშებაშიც (ლატვია, ცესისი) გამარჯვებაზე ოცნებობდნენ. მართლაც, გულბისი დიდხანს ლიდერობდა, მაგრამ ბოლო კილომეტრზე შაშხანის თამასა გაუწყდა. დარჩენილი დისტანცია მან ისე დაამთავრა, რომ ცალ ხელში შაშხანა ეჭირა და მეორეში — თხილამურის ჯოხები. ამან ბევრი დრო დააკარგვინა და ექვსეულში ველარ მოხვდა.

მსოფლიო ჩემპიონი ა. ტიხონოვი (ნოვოსიბირსკი) შესანიშნავად დარბოდა და ყველაზე კარგი დროც (1:14.22) აჩვენა, მაგრამ მეტისმეტად ცუდად ისროლა, რისთვისაც 7 წუთით დაჯარიმდა. საბოლოოდ იგი VIII ადგილზე დარჩა — 1:21.22.

ბედმა მინსკელ სტუდენტს ვ. ტოლკაჩოვს გაუღიმა. მან 20 კილომეტრიც კარგად გაირბინა, სნაიპერული სიზუსტითაც ისროლა (მხოლოდ წუთით დაჯარიმდა) და თასი დაისაკუთრა. ტოლკაჩოვის შედეგია 1:18.23.

ცნობილმა ბიატლონისტმა, ლენინგრადელმა ნ. პუზანოვმა გამარჯვებულთან რბენაც წააგო და სროლაშიც 2 წუთით დაჯარიმდა. ამიტომ იგი II ადგილს დასჯერდა — 1:19.56, III ადგილზეა ი. ბიაკოვი (კიროვო-ჩეპეცკი) — 1:20.16.

# მასპინძლები დამარცხდნენ

იტალიელმა მოთხილამურეებმა მსოფლიო პირველობაში უკეთ გამოსვლისთვის მზადება დიდი ხანია დაიწყეს და პირველი ბრძოლაც გამართეს შვეციის სპორტსმენებთან ავესტასა და ოსარნაში. ავესტაში მოეწყო შეჯიბრება 15 კმ-ზე რბენაში. სამივე საპრიზო ადგილი იტალიელებმა მოიპოვეს. პირველობა წილად ხვდა 30 კმ-ზე რბენაში ოლიმპიურ ჩემპიონს ფ. ნონესს — 47.48,0. პ. სარაფინიმ გამარჯვებულთან 42 წამი წააგო. III ადგილზეა მ. ბეკერი — 48.33,0. მასპინძელთაგან საუკეთესო ბ. ერიკსონი IV ადგილს დასჯერდა — 48.48,0.

ოსარნაში ამ ქვეყნების სხვა სპორტსმენები 24 კმ-ზე ასპარეზობდნენ. მასპინძლებმა შედარებით უკეთესი ადგილები დაიკავეს, მაგრამ პირველობა მაინც სტუმარს — იტალიელ უ. კოსტნერს დარჩა — 1:31.02. შვედები ტ. ლიუმბიუ (1:31.58) და კ. იუჰანსონი (1:32.08) II და III ადგილებზე გავიდნენ.

# ძალები ტოლგაში შეამოწმეს

შვეციისა და ნორვეგიის ბიატლონისტები ტოლგაში (ნორვეგია) გამართულ საერთაშორისო შეხვედრაში ამოწმებდნენ მსოფლიო პირველობისთვის მზადყოფნას. ამ ტურნირმა სტუმრებს საიმედო ვერაფერი მოუტანა — მათი გუნდის ლიდერი ო. პეტერსონი მხოლოდ V ადგილზე აღმოჩნდა: 20 კმ-ის გარბენასა და სროლას 1:21.58 მოანდომა, როცა გამარჯვებულმა ე. იელტენმა 1:17.32 აჩვენა. II ადგილზეა ი. ნორდკილდი — 1:20.35, III — ტ. სვენდსბერგეტი (ყველა — ნორვეგია) — 1:21.01.

# ამორძალის ნახტომი

ამერიკელი პეტი დოლანი სულ 25 წლისაა, მაგრამ მისი სიცოცხლე უკვე ყოველდღე ბეწვზე ჰკიდია. პეტი დღეში ხუთჯერ ადის ატლანტიკ-სიტის (ნიუ-ჯერსის შტატი) აუზის 14-მეტრიან კოშკზე, რათა ცხენზე ამხედრებული წყალში გადაეშვას.

მაყურებლები დოლარებს იხდიან და კმაყოფილი არიან: ეს სახიფათო საცირკო ტრიუკი მათს ნერვებზე მოქმედებს. პეტი დოლანი კი აუზიდან ამოდის და ყველაფერს თავიდან იწყებს...



# ახალი სკოლის დაბადება

როდესაც ყინულზე მოცეკვავე წყვილების გამოსვლას ტრიბუნიდან ადევნებთ თვალს, შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ საინტერესოს, ორიგინალურის ძიება ხდება ძირითადად მხოლოდ მუსიკის სფეროში. სინამდვილეში ახალი მიმდინარეობა ცეკვებში ყალიბდება სრიალის, მოტრიალების, ნაბიჯების სპეციფიკური ტექნიკის სრულყოფის რთულ პროცესში. სწორედ ამ გზით მიდიოდნენ მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონები ე. და პ. რომანოვები (ჩეხოსლოვაკია). სამხრეთამერიკული მუსიკის ეგზოტიკურ რიტმებში მათ ყინულზე მოძრაობის სინკოპირებული სტილის საფუძველი მონახეს. ამ წყვილს ახასიათებდა მკვეთრი სინქრონულობა, რომელიც ნათლად გვიჩვენებდა ხაზების სისრულესა და განფენილობას.

ხუთი წლის წინ ჩვენ მოსკოვში ვნახეთ ცეკვის ინგლისური სკოლის ოსტატები. ამ სკოლას ერთდროულად სამი წყვილი წარმოადგენდა — ჟ. სობრიჯი და დ. ჰიკინბოტომი, ი. სადიკი და რ. კენეროონი, დ. ტაულერი და ბ. ფორდი.

ინგლისელების სრიალის ტექნიკა, რბილი, უხმაურო, მაშინ სრულყოფის ნიმუში იყო. წარმოსადეგობა, სავალდებულო ცეკვების ნახატის სიზუსტე — აი, მათი სკოლის საიდუმლო ნაწილი. ამასთან, წყვილები მეტად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან გარეგნული მონაცემებით. ცივი, ცოტა ქედმაღალი ჰიკინბოტომი, ჩასკვნილი, ფიცხი კენეროონი, ნაზი, კოხტა ფორდი — ყველა ეს მოცეკვავე ვაჟი სხვადასხვანაირად აღიქვამდა მუსიკას, სხვადასხვანაირად გამოხატავდა პარტნიორისადმი დამოკიდებულებას. მაგრამ მოცეკვავეებს აერთიანებდათ რიტმის დახვეწილი გრძნობა, პროგრამაში ოპტიმიზმის გამოხატვის ცოდნა, ნებისმიერი ტექნიკური ელემენტების შესრულების სიმსუბუქე.

1966 წელს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები ტაულერი და ფორდი გახდნენ. ცეკვა მათ 14 წლის ასაკში დაიწყეს. 18 წლისანი იყვნენ, როცა ევროპის ჩემპიონატში აიღეს სტარტი. მათი მწვრთნელი, მეტად მკაცრი პედაგოგი გლედის ჰეგი მოწაფეებისგან მოითხოვდა ტექნიკური ილეთების აბსოლუტურ ავტომატიზმსა და ჟესტების სრულიად ძალდაუტანებლად შესრულებას.

1966 წელსვე ევროპის ჩემპიონატში წარმატებას მიაღწიეს საბჭოთა მოცეკვავეებმაც. უცხოელმა სპეციალისტებმა საკმაოდ მაღალი შეფასება მისცეს ცეკვას, რომელიც ლ. პახომოვამ და მე შევასრულეთ ბრატისლავაში ევროპის ჩემპიონატში და მაინც, საუკეთესო დუეტების ოსტატობის დონე ჩვენთვის მიუღწევლად გვეჩვენებოდა. რომანოვების გამოსვლას რომ ვუყურებდი, ჩემს თავს ვეკითხებოდი: ნუთუ შეიძლება დავეუფლო ასეთ ტექნიკასა და სინქრონულობას?

ორი წლის შემდეგ ვენის მსოფლიო ჩემპიონატში საკუთარ თავს ასეთ შეკითხვებს უკვე აღარ ვუსვამდით, თუმცა ახალ პარტნიორებთან გამოვდიოდით (მე — გრიშკოვასთან, პახომოვა კი გორშკოვთან). გვჯეროდა, რომ ვიპოვიდით გზას უმაღლესი ოსტატობისკენ.

მაგრამ სიძნელე ის იყო, რომ სავალდებულო ცეკვის შესრულების განსაკუთრებულ ნიუანსებს მხოლოდ სტარტის წინ ვიგებდით. ამიტომ ინგლისის, ჩეხოსლოვაკიის, საფრანგეთის, უნგრეთის ფიგურისტებთან ყოველი შეხვედრისას მეთოდურად, დაწვრილებით ვარკვევდით ტექნიკის საიდუმლოებებს.

გვინდოდა იმ საერთოს აღმოჩენა, რაც ახასიათებდა რომანოვების, ტაულერისა და ფორდის ოსტატობას, ხოლო ეს საერთო ნახატითა და სტილში უაღრესად ზუსტი სრიალის ტექნიკა იყო.

როცა ჩემპიონობის სტილს სწავლობდნენ, საბჭოთა სპორტსმენები ცდილობდნენ ცეკვაში შეეტანათ რაღაც საკუთარი — სისწრაფე, პლასტიკურობა, რიტმის მახვილი გრძნობა.

საბჭოთა სკოლის ახალი ლიდერები ლ. პახომოვა და ა. გორშკოვი გულმოდგინედ მოეკიდნენ საერთო ფიზიკურ მომზადებას (დამხმარე საშუალებებში შედიოდა ცურვაც, ჩოგბურთიც, ტანვარჯიშიც). ისინი მუშაობდნენ კოორდინაციის, სისწრაფის თვისებების განვითარებაზე. სწავლობდნენ სამსახიობო ტექნიკასაც.

ორიგინალურმა რუსულმა მელოდიებმა მრავალმხრივი რიტმით, ლირიზმითა და ტემპერამენტით სსრ კავშირის ჩემპიონებს საშუალება მისცა ყველაზე მეტი სისრულით გამოეხატათ საკუთარი თავი ყინულზე.

ესპანური, ბერძნული, უკრაინული, უნგრული ხალხური მელოდიების გამოყენება დაიწყეს ინგლისელებმა. ჟ. სობრიჯმა და ჯ. ლეინმა ნებისმიერი ცეკვა თითქმის გოპაკად აქციეს, მაგრამ ეს მაინც არ იყო გამოსავალი. პახომოვამ და გორშკოვმა, რომლებიც გამუდმებით სრულყოფდნენ ცეკვის ტექნიკას, 1969 წლის პროგრამაში უფრო ზუსტი და გამომხატველი მუსიკალური აქცენტების მიღწევა შეძლეს. სობრიჯმა და ლეინმა ვერ გაუძლეს სსრ კავშირის ჩემპიონების შეტევას: 1969 წლის მარტში მსოფლიო ჩემპიონატში ინგლისელებმა მათთან II ადგილისთვის ბრძოლა წააგეს.

რასაკვირველია, შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ მხოლოდ საბჭოთა მოცეკვავეები მიდიან წინ. მნიშვნელოვნად აიმაღლეს ოსტატობა გდრ-ის ჩემპიონებმა ა.-რ. ბაიერმა და ე. რიუგერმა, გფრ-ის ჩემპიონებმა ა. და ე. ბუკებმა, ახალმა ინგლისურმა წყვილებმა. მათ ცეკვაში ბევრი სიახლეა, როგორც მუსიკალური, ისე ტექნიკური თვალსაზრისით.

ახალი ნიჭიერი წყვილები გამოჩნდნენ საბჭოთა კავშირშიც — ტ. ვოიტიუკი და ვ. ჟიგალინი, ე. ჟარკოვა და გ. კარპანოსოვი, ს. ალექსეევა და ა. ბოიჩუკი, ს. ბაკინა და ბ. რუბლიოვი, ი. მოისეევა და ა. მინენკოვი. ჯერჯერობით ისინი სერიოზულ მეტოქეობას ვერ გაუწევენ პახომოვასა და გორშკოვს, მაგრამ თანდათან უახლოვდებიან ჩემპიონების ოსტატობის დონეს. ვფიქრობ, 1970 წლის ევროპის ჩემპიონატში საბჭოთა წყვილები შეძლებენ მოწინავე პოზიციების დაკავებას. ეს განსაკუთრებით ეხება ჩვენს ლიდერებს, რომლებმაც ახლახან შესანიშნავ სტილში მოიგეს მოსკოვის საერთაშორისო ტურნირი და კვლავ დაამტკიცეს, რომ აქტიურ ძიებას ეწევიან სპორტული ცეკვების ტექნიკისა და მუსიკალური კომპოზიციის სფეროში.

ვ. რიჟკინი,
სსრ კავშირის ხუთგზის ჩემპიონი სპორტულ ცეკვებში.

# მოსწავლეთა საკავშირო...

ვილნიუსი, 12 იანვარი (ფოტოდეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ მიმდინარეობს მოსწავლეთა საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატი. გოგონათა შეჯიბრებაში 24 მონაწილეა, ჭაბუკთა პირველობაში — 32. გათამაშდა 6-6 ტური.

გოგონებში ლიდერობენ ესკოვა (უკრაინა) — 5 ქულა, შარშანდელი ჩემპიონი ლევიტინა (ლენინგრადი), კაჭარავა (თბილისი) და ალიოხინა (რსფსრ) — 4,5-4,5.

ჭაბუკებში დაწინაურდნენ მაკარიჩევი და ფიოდოროვი (ორივე — მოსკოვი) — 5-5. ოსტატ პეტროსიანს (ერევანი) 4,5 ქულა აქვს, გ. ცქიტიშვილსა და ხარიტონაშვილს (ორივე — თბილისი) — 3-3.

ჩემპიონატების დამთავრებას 3 ტური აკლია. ო. ალხანიშვილი.

# ახალი ამბები

● ლიეპაია, 11 იანვარი. დღეს აქ დაიწყო სსრ კავშირის ფრენბურთელ ქალთა ჩემპიონატი, რომელშიც 8 უძლიერესი გუნდი (ცსკა, მოსკოვის „დინამო" და „ლოკომოტივი", კიევის, ოდესისა და ლენინგრადის „ბურევესტნიკი", ბაქოს „ნეფტიანიკი", მინსკის „სპარტაკი") მონაწილეობს. ტურნირი გაიხსნა „ლოკომოტივისა" და „ნეფტიანიკის" მატჩით. გაიმარჯვეს მოსკოველებმა — 3:0. სსრ კავშირის ჩემპიონმა ცსკა-მ ასეთივე ანგარიშით დაამარცხა „სპარტაკი". კიევის „ბურევესტნიკმა" მწვავე ბრძოლაში სძლია ოდესელ თანაკლუბელთა გუნდს — 3:2. შეჯიბრება 19 იანვრამდე გასტანს.

● **კიევი, 11 იანვარი. კიევის ხელბურთელ ქალთა გუნდმა კიდევ ერთი ზღუდე გადალახა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში: დღეს აქ გამართულ განმეორებით მეოთხედფინალურ მატჩში დაამარცხა ვროცლავის აზს — 26:12 (11:8). როგორც ცნობილია, ამ გუნდების პირველი შეხვედრა პოლონეთში ასევე კიეველთა გამარჯვებით დამთავრდა — 24:12. როგორც ვროცლავში, მატჩის საუკეთესო ბომბარდირად ამჯერადაც კიეველი ზ. ტურჩინა მოგვევლინა. მან 10 ბურთი გაიტანა.**

# მოულოდნელობათა ტურნირი

მოსკოველმა მ. ჩუვირინამ და ტალინელმა თ. ლეიუსმა მოიგეს მოსკოვის ღია პირველობა ჩოგბურთში. ამ ტურნირმა, რომელიც ერთ კვირას გაგრძელდა ცსკა-ს კორტებზე, მონაწილეთა უაღრესად ძლიერი შემადგენლობა მიიზიდა. დედაქალაქის ჩემპიონთა ტიტულებისთვის საუკეთესო მოსკოველ მოთამაშეებთან ერთად იბრძოდა ლენინგრადიდან, კიევიდან, ტალინიდან, ბაქოდან და სხვა ქალაქებიდან ჩამოსული 20-ზე მეტი სტუმარი.

ქალთა ერთეულების ფინალურ შეჯიბრებაში მოულოდნელი იყო მოსკოვის „დინამოს" წარმომადგენლის ჩუვირინას გამარჯვება სსრ კავშირის ჩემპიონთან ო. მოროზოვასთან. მაგრამ ანგარიშიც (6:3, 6:2) და ისიც, თუ რა ეფექტურ სტილში მოუგო ჩუვირინამ თანაკლუბელს, მოწმობს, რომ ეს გამარჯვება შემთხვევითი არ იყო.

ლეიუსს მოსკოველ ა. ვოლკოვთან ფინალურ შეხვედრაში უძლიერესის ტიტულის მოპოვებისთვის ხუთი გრძელი, მძიმე პარტია დასჭირდა — 7:5, 6:4, 3:6, 2:6, 6:3.

მოულოდნელი იყო ვაჟთა წყვილების ფინალური შეჯიბრების შედეგიც. სოჭელებმა ვ. ვოლკოვმა და ვ. პესჩანკომ დაამარცხეს ქვეყნის ორგზის ჩემპიონები ვ. კოროტკოვი და ვ. ეგოროვი — 6:8, 6:8, 6:1, 6:4, 6:4. გამარჯვებულთა წყვილი მხოლოდ შეჯიბრების მსვლელობის დროს შედგა.

ქალთა წყვილებში პირველობდნენ ევროპის ჩემპიონები მოროზოვა და ზ. იანსონე (რიგა), რომელთაც იოლად დაამარცხეს მოსკოველები რ. ისლანოვა და ე. იზოპაიტისი — 6:2, 6:2.

შერეულთა თანრიგშიც პირველობა კონტინენტის უძლიერეს დუეტს ხვდა: გაიმარჯვეს მოროზოვამ და კოროტკოვმა. ფინალში მათ დაამარცხეს იანსონე და პ. ლამპი (ტალინი) — 6:3, 6:4.

მალე უძლიერეს საბჭოთა ჩოგბურთელებს გამოსვლა მოუწევთ ლენინგრადის, უკრაინის, ბელორუსიისა და ესტონეთის ასეთივე ღია ტურნირებში.

(საკდესი).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

**19-29 იანვარს**

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში ჩატარდება საშუალო სპეციალური სასწავლებლების ფიზიკური აღზრდის ხელმძღვანელებისა და მასწავლებლების ათდღიანი რესპუბლიკური კურს-სემინარი.

სემინარზე ჩამოსულთა რეგისტრაცია იწარმოებს შესაბამის სამინისტროებში 19 იანვარს 12 საათამდე. მეცადინეობა დაიწყება იმავე დღეს 14 საათზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 8 უე 03112